

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ სატრენინგო მომსახურების შესყიდვის (ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე) სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი № 8-1

18 ოქტომბერი 2021 წელი

ქ. ბათუმი

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები:

თინათინ ზოიძე - კომისიის თავმჯდომარე, დეპარტამენტის თავმჯდომარე;

ლენა ჩაჩუა - საფინანსო-საბუღალტრო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი, კომისიის წევრი.

ლელია დავითაძე - სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი, კომისიის წევრი, ასევე კომისიის აპარატის წევრი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრება (შვებულება) თამარ კაკავიშვილი - დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

კომისიის აპარატის წევრი:

ნინო მიქელაძე - სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის აპარატის წევრი.

დღის წესრიგი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ სატრენინგო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

მოხსენიება:

1. ლელია დავითაძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ სატრენინგო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა უნდა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის (ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე) გზით. შესაბამისად საჭიროა კომისიის მიერ მოხდეს სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება. ასევე, სხდომას მოახსენა შესყიდვის ობიექტზე განხორციელებული ბაზრის კვლევის შედეგები, სადაც ერთი კომპანიის მიერ შემოთავაზებული ფასი არის 36000 ლარი, მეორე კომპანიის ფასი არის 57000 ლარი, ხოლო მესამე კომპანიის ფასი 65000 ლარი.

ვინაიდან, სახეზეა 3 მიმწოდებლის ბაზრის კვლევის შედეგი, დეპარტამენტის ბიუჯეტის და კვლევის შედეგების გათვალისწინებით ელექტრონული ტენდერი გამოცხადდეს მოკვლეული ფასების საშუალო არითმეტიკულით მიღებულ თანხაზე - 52600 ლარზე.

2. სატრენინგო მომსახურების შესყიდვა უნდა განხორციელდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2021 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრებმა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს აღნიშნული შესყიდვის განხორციელების მიზნით ელექტრონული ტენდერის (ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე) გამოცხადებას.

დაადგინეს:


აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ სატრენინგო მომსახურების შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარე:  /თ. ზოიძე/

კომისიის წევრები:  /ლ. ჩაჩუა/

 /ლ. დავითაძე/

კომისიის აპარატის წევრი:

 /ნ. მიქელაძე/